

# გაკვეთილი 9

Microsoft Office Excel 2007-ის

პროგრამის გაცნობა

ნაწილი 9

## Excel 2007-ის საცნობარო სისტემა


Microsoft Excel 2007-ის საცნობარო სისტემაში (პრინციპში, ისევე, როგორც Microsoft Office 2007-ის ყველა პროგრამაში, რომელთათვისაც საცნობარო სისტემას ერთიანი ინტერფეისი აქვს) დამახასიათებელია ინფორმაციის დიდი მოცულობისა და მისი მიღების სხვადასხვაგვარი მეთოდების არსებობა. ცნობა ისე უნდა განიხილოს, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც პროგრამასთან ერთად არის მოწოდებული და მასში არ არის (ან არ უნდა იყოს) ტექნიკური შეცდომები. მართლაც, რეალური პროექტის შექმნისას არაერთხელ მიმართავთ Excel-ის საცნობარო სისტემას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შესასწავლად მაინც უნდა ისარგებლოთ წიგნებით – დართული პროგრამების საცნობარო სისტემები ამას არ ემსახურება.

### Excel-ში მუშაობისას ცნობის მიღება

პროგრამა Excel 2007-ის საცნობარო სისტემის ფანჯრის გასახსნელად დააწკაპუნეთ ღილაკზე: Help-ცნობა: Microsoft Office Excel ლენტის მარჯვენა ნაწილში ან უბრალოდ დააჭირეთ კლავიშს F1 (ნახ. 1.53).



ნახ. 1.53. საცნობარო სისტემის ფანჯრის გასახსნელად დააწკაპუნეთ ღილაკზე: Help-ცნობა ლენტის მარჯვენა ნაწილში



ნახ. 1.54. პროგრამა Excel 2007-ის საცნობარო სისტემის ფანჯარა


პროგრამის საცნობარო სისტემის ფანჯარა (ნახ. 1.54) შედგება სათაურის სტრუქტურისგან, რომელშიც მიენიშნება, Microsoft Office-ის რომელ პროგრამას ეხება ცნობა, ინსტრუმენტთა ორი პანელისგან:

სტანდარტული და საძიებო, ცნობის სარჩევისგან, რომელიც ფანჯრის მარცხენა ნაწილში მდებარეობს და სამუშაო უბნისგან (მარჯვნივ), რომელშიც აისახება საცნობარო სისტემის განყოფილებების შინაარსი და სხვა მიმდინარე ცნობები. ქვედა ნაწილში განთავსებულია სტატუსის ზოლი, სადაც აისახება ძიების მიმდინარე უბანი, გადახედვის მალსახმობები და ინტერნეტთან მიერთების მდგომარეობა.


პროგრამა Excel-ში შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენთვის საჭირო ინფორმაციის ძიების შემდეგი მეთოდები:

ძიება საკვანძო სიტყვების მიხედვით. საკვანძო სიტყვა შეიძლება შეიყვანოთ მინდორში Type Words to search for-შეიყვანეთ სიტყვები, რომლებიც უნდა იპოვოთ, რომელიც მდებარეობს საცნობარო სისტემის ფანჯრის ზედა მარცხენა ნაწილში (ნახ. 1.55). შეიყვანეთ სიტყვები და დააჭირეთ კლავიშს Enter ან დააწკაპუნეთ ღილაკზე Search-ძიება, რომელიც გვერდით არის განთავსებული. თუ გსურთ მიუნიშნოთ ძიების უბანი, დააწკაპუნეთ ქვემოთკენ მიმართულ ღილაკზე, რათა გახსნათ ძიების უბნების მენიუ და აირჩიეთ მასში თქვენთვის საჭირო უბანი ქსელში ან თქვენივე კომპიუტერში (ნახ. 1.56). ამის შემდეგ გამოისახება ნაპოვნი


ანყოფილებების ბმულების სია (ნახ. 1.57). ყურადღება მიაქციეთ, რომ უკვე ნანახი ბმულები სხვა ფერით აისახება (როგორც ვებ-გვერდებთან მუშაობის დროს). ერთ-ერთ ბმულზე დააწკაპუნეთ, რათა საცნობარო სისტემის თქვენთვის საჭირო განყოფილება გახსნათ მის სამუშაო უბანში.



ნახ. 1.55. შეიყვანეთ საკვანძო სიტყვები, რომლების მიხედვითაც აუცილებელია საცნობარო სისტემის განყოფილების პოვნა



ნახ. 1.56. მიუნიშნეთ ძიების უბანი ღილაკ Search-ძიების მენიუს მეშვეობით



ნახ. 1.57. სამუშაო უბანში აისახება ბმულების სია საცნობარო სისტემის ნაპოვნ განყოფილებებზე


### გამოყენებული საკვანძო სიტყვების სია

თუ საჭიროა საძიებლად იმავე საკვანძო სიტყვების გამოყენება, რომლებიც ამასწინათ იყო გამოყენებული, დააწკაპუნეთ ისარზე, რომელიც მდებარეობს სიის Type Words to search for-შეიყვანეთ სიტყვები, რომლების მოძებნაც საჭიროა – გვერდით, რის შემდეგაც აირჩიეთ საჭირო სიტყვები ან სიტყვათშეთანხმებები სიიდან.

თუ ინტერნეტში ჩართული გაქვთ კომპიუტერი, მაშინ სიაში გამოჩნდება ასევე მისი რესურსების განყოფილებები, რომლებიც

საცნობარო სისტემის განყოფილებებისგან შეგიძლიათ გაარჩიოთ მათი სახელწოდებების გვერდით განთავსებული ნიშნების მიხედვით. დააწკაპუნეთ საცნობარო სისტემის იმ განყოფილების სახელწოდებაზე, რომლის ჩატვირთვაც გსურთ. ძიების უბანი რომ გადართოთ ლოკალურ კომპიუტერსა და ინტერნეტს შორის, გამოიყენეთ სტატუსის ზოლის მარჯვენა კუთხის კონტექსტური მენიუ (იხ. ნახ. 1.54).

საცნობარო სისტემის განყოფილებების გადახედვა. საცნობარო სისტემის განყოფილებების გადასახედად გამოიყენება ცნობის სარჩევი, რომელიც მარცხნივ მდებარეობს (იხ. ნახ. 1.54). თუ სარჩევი არ აისახება, დააწკაპუნეთ ღილაკს Show Table of Contents-სარჩევის ჩვენება ინსტრუმენტთა სტანდარტულ პანელში (ნახ. 1.58). საცნობარო სისტემის სარჩევი შედგება “წიგნებისგან”, რომლებიც განყოფილებების თემატურ შერჩევას შეიცავს. დააწკაპუნეთ “წიგნზე”, რათა გახსნათ მისი შინაარსი. გადახედეთ მასში არსებულ განყოფილებებს. ამორჩეული განყოფილება სამუშაო უბანში გახსენით, მის სახელზე დაწკაპუნებით.




ნახ. 1.58. საცნობარო სისტემის ფანჯრის ინსტრუმენტთა სტანდარტული პანელის ღილაკები

### ტერმინების განსაზღვრება

ცნობის განყოფილების ტექსტში შეიძლება შეგხვდეთ წარწერები, რომლებიც სხვა ფერის შრიფტით არის დაფორმატებული. ეს შეიძლება იყოს ტერმინები, რომელთა განსაზღვრება შეიძლება “გაიხსნას”, თუ მათზე დააწკაპუნებთ (ნახ. 1.59), ასევე ბმულები, რომლებიც საცნობარო სისტემის სხვა განყოფილებასთან გადაგართავთ.

## ცნობის ბეჭდვა

საცნობარო განყოფილების შინაარსი შეიძლება დაიბეჭდოს. ამისათვის მის ფანჯარაში დააწკაპუნეთ ღილაკზე Print-ბეჭდვა. ბეჭდვის შესრულებამდე მომართეთ პრინტერისა და საბეჭდი გვერდის პარამეტრები დიალოგურ ფანჯარაში Print-ბეჭდვა.




ნახ. 1.59. დააწკაპუნეთ ტერმინზე, რათა მისი განსაზღვრება ნახოთ

Microsoft Office Online-ის კვანძის სტუმრობა. ინტერნეტის ამ კვანძთან პირდაპირ დაკავშირება შეიძლება საცნობარო სისტემის ფანჯრიდან. ამისათვის დააწკაპუნეთ მიერთების ნიშანზე სტატუსის ზოლში (ბრძანება Show Content OfficeOnline-ოფის ონლაინის ვებ-კვანძიდან შინაარსის ჩვენება, იხ. ნახ. 1.54) ან ღილაკ Search-ძიების მენიუდან (ბრძანებები, რომლებიც არის განყოფილებაში Content From OfficeOnline-ოფის ონლაინის ვებ-კვანძი, იხ. ნახ. 1.56).

## ცნობის ავტომატური განახლება

Microsoft Office Online-ის კვანძიდან შინაარსის ავტომატურად მისაღებად აამოქმედეთ შესაბამისი პარამეტრები დიალოგურ ფანჯარაში Trust Center-უსაფრთხოების მართვის ცენტრი (ნახ. 1.60). ამ ფანჯრამდე “მიღწევა” შემდეგნაირად შეიძლება. პროგრამა Excel-ის ფანჯარაში დააწკაპუნეთ ღილაკზე Office, რათა მისი მენიუ გახსნათ. მენიუს ქვედა ნაწილში დააწკაპუნეთ ღილაკზე Excel Options-ექსელის პარამეტრები, რათა ამავე სახელწოდების დიალოგური ფანჯარა გახსნათ. დიალოგურ ფანჯარაში Excel Options-ექსელის პარამეტრები გადადით განყოფილებაში Trust Center-უსაფრთხოების მართვის ცენტრი, სადაც დააწკაპუნეთ ღილაკზე Trust Center Setting-უსაფრთხოების მართვის ცენტრის პარამეტრები. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Trust Center-

უსაფრთხოების მართვის ცენტრი, რომელშიც უნდა გადახვიდეთ განყოფილებაში Privacy options-კონფიდენციალურობის პარამეტრები. სწორედ აქ არის განთავსებული რომლებიც შეგიძლიათ ჩართოთ ან გამორთოთ.



ნახ. 1.60. ჩართეთ Microsoft Office Online-ზე ცნობის ძიებისა და ბმულების განახლების პარამეტრები


### ცნობის ფანჯარა დანარჩენი ფანჯრების ზემოთ

გულისხმობის მიხედვით ცნობის ფანჯარა განთავსდება Microsoft Office-ის დანართების დანარჩენი ფანჯრების თავზე. მაგრამ შეგიძლიათ ამ თვისების შეცვლა ცნობის ფანჯრის ინსტრუმენტთა სტანდარტულ პანელზე განთავსებული ღილაკის მეშვეობით Keep On top-დანარჩენი ფანჯრების ზემოდან/დანარჩენი ფანჯრების არაზემოდან (იხ. ნახ. 1.58 და 1.55). აქტიური ღილაკი Keep On top დანარჩენი ფანჯრების ზემოდან თითქოს ზემოდან ხედით “ჩაზნექილი” გამოიყურება ხოლო ღილაკი დანარჩენი ფანჯრების არაზემოდან \_ როგორც ღილაკი გვერდიდან.

თვისების Keep On top-დანარჩენი ფანჯრების ზემოდან მნიშვნელობა მიუთითებს ცნობის ფანჯრის ადგილმდებარეობას მხოლოდ Excel-ის პროგრამების ფანჯრების ზემოდან და არ ახდენს გავლენას სხვა პროგრამებზე, რომლებიც არ შედიან Excel-ში. მაგალითად, თუ გახსნით პროგრამას Notepad-ბლოკნოტს და მის ფანჯარას გადაიტანთ ცნობის ფანჯრის ზემოდან, ცნობის ფანჯარა პროგრამა Notepad-ბლოკნოტის ფანჯრის “ქვემოდან” განთავსდება.

### Excel-ის საინფორმაციო რესურსები

პროგრამის საინფორმაციო რესურსები “თავმოყრილია” დიალოგური ფანჯრის Excel Options-ექსელის პარამეტრების განყოფილებაში Resources-რესურსები (ნახ. 1.61) (ის რომ გახსნათ, ღილაკ Office-ის მენიუში დააწკაპუნეთ ღილაკზე Excel Options-ექსელის პარამეტრების).




ნახ. 1.61. დიალოგური ფანჯრის Excel Options-ის პარამეტრების განყოფილება რესურსები

აქ არის რამდენიმე ღილაკი, რომლებიც შემდეგ შესაძლებლობებს აამოქმედებენ:

ღილაკი get updates-ექსელის პარამეტრების განახლების არსებობის შემოწმება. დააწკაპუნეთ ამ ღილაკზე, რათა შეამოწმოთ განახლებების არსებობა და ჩატვირთოთ განახლება Microsoft-ის კორპორაციის კვანძიდან.

ღილაკი run Microsoft Office Diagnostics-დიაგნოსტიკა. ეს ღილაკი აამოქმედებს Microsoft Office-ის პროგრამებში დიაგნოსტიკისა და პრობლემების გამოსწორების პროგრამას (ნახ. 1.62).



ნახ. 1.62. Microsoft Office-ის პროგრამებში დიაგნოსტიკისა და პრობლემების გამოსწორების პროგრამა

ღილაკი contact us-დაგვიკავშირდით. დააწკაპუნეთ ამ ღილაკზე, რომ მიიღოთ ცნობები, თუ როგორ შეიძლება მიმართოთ კორპორაცია




Microsoft-ის პროგრამული პროდუქტების ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურს. ბუნებრივია, თქვენ დაგეხმარებიან, ოღონდაც, თუ დაყენებული გაქვთ პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიური ასლი. გარდა ამისა, ზოგიერთი მომსახურება შეიძლება ფასიანი იყოს.

ლილაკი activate Microsoft Office-გააქტიურება. ეს ლილაკი ემსახურება კორპორაცია Microsoft-ის პროდუქტის გააქტიურებას. ლილაკი go to Microsoft Office-შესვლა. ხსნის Microsoft Office Online-ის საშინაო გვერდს.

ლილაკი about Microsoft Office Excel 2007-პროგრამის შესახებ. ხსნის პროგრამა Excel-ის შესახებ ცნობების ფანჯარას.

### კლავიშების შეთანხმება

კლავიშების შეთანხმება გამოიყენება მოქმედებების განსახორციელებლად კლავიატურის მეშვეობით. ლილაკებისა და ბრძანებებისთვის დანიშნული კლავიშების შეთანხმებები აისახება მოტივტივე მოკარნახეებში (ნახ. 1.63). Excel 2007-ში ბევრი დანიშნული კლავიშთა შეთანხმებაა, მაგრამ ყველას გაგება როდი შეიძლება მოკარნახის საშუალებით. კლავიშების შეთანხმების შესახებ ცნობების მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საცნობარო სისტემის განყოფილებას “Excel-ის კლავიშთა შეთანხმება”.



ნახ. 1.63. ლენტის ლილაკის მოტივტივე მოკარნახე

ცხრილში 1.2 მაგალითის სახით მოყვანილია მოქმედებები, რომლებიც შეიძლება შესრულდეს პროგრამა Excel-ში კლავიშთა ზოგიერთი შეთანხმების მეშვეობით.

ცხრილი 1.2. კლავიშთა ზოგიერთი შეთანხმება და მათი მოქმედებები

კლავიშთა შეთანხმება	მოქმედება
Alt + F1	დიაგრამის შექმნა მონიშნული დიაპაზონის მონაცემებით
Alt + Shift + F1	ახალი სამუშაო ფურცელის ჩასმა
Ctrl + 2 (Ctrl+B)	ნახევრად მსხვილი მოხაზულობით დაფორმატების გამოყენება და გაუქმება
Ctrl + F1	ლენტის ასახვა ან დაფარვა
Ctrl + H	დიალოგური ფანჯრის _ Find and Replace-პოვნა და შეცვლა _ გახსნა წინა პლანზე გამოტანილი ჩანართით Replace-შეცვლა
Ctrl + Shift + :	მიმდინარე დროის შეყვანა
Ctrl + Shift + C	მონიშნული ფრაგმენტის ფორმატირების კოპირება
Ctrl + Shift + V	კოპირებული ფორმატირების გამოყენება
Ctrl + Y (F4)	ბოლოს შესრულებული მოქმედების გამეორება (თუ ეს შესაძლებელია)
F1	შესწორების დიალოგური ფანჯრის გახსნა
F7	ორთოგრაფიის შემოწმება სამუშაო დაფაზე ან მონიშნულ დიაპაზონში
F9	ყველა გახსნილი სამუშაო წიგნის ყველა ლისტში შედეგების გადათვლა